



ဗုဒ္ဓဘာသု

၁၃၁၂၀၉၆၀

မာစိနေပါး၏^{၁၁}၁၃၀၉၆၀

ရွှေဆို ၈ ကာပ်ရွှေ

၁၃၀၉၆၀

1906



ଲୋକ ପରିମୁଦ୍ରାକାରୀ

ଶବ୍ଦରେଣୁକାରୀ

მდგრადი

ქ. ლაფარები.

ისტორიული

29 677

0 9 1 2 0 9 8 0
8
მატერიალი 0 9 8 0

თარგმანი მ. ნინიძეს.



გამოცემა მუშავა.

თვილისი.

მსშ.-მ ბეჭ. „ლამპარი“ სერებ. ქუჩა, № 4.

1906

ისტორიული იდეალიზმი და
მაცერიალიზმი.

I

პამათს ისე ნუ დაიწყებთ, თუ სადაც საგანი ნათლათ და მკაფიოთ გარკვეული არ არისო, — გვირჩევდენ კარტეზიანულ სკოლის ფილოსოფოსები. მართალიცაა. ამიტომ თავდაპირველათ ჩვენ რიგიანათ უნდა დავაყენოთ ის კითხვა, რომლის გარჩევასაც ვაპირებთ.

დღეს ჩვენ ვიკით, რომ ყველა ხალხებს, განათლების რომელ საფეხურზეც უნდა იდგენ, ერთი და იგივე ისტორიული დასაწყისი ქონიათ: მათი წინაპრები ველურები ყოფილან.

როგორ მოხდა, რომ ის ველურები, რომლებიც ხეებზე ცხოვრობდენ, მიწისა და წყლის ბუნებრივი ნაყოფებით იკვებებოდენ, ველურ ცხენებივით ჰატარ-ჰატარა ჯგუფებათ ერთდებოდენ, რომ უფრო აღვილათ მოეპოებიათ საზღო, — გადაიქცენ განათლებულ ერებათ, შექმნეს უზარმაზარი ჭალაქები, საღაც მილიონობით ხალხი ცხოვრობს, საღაც გაზით ან ელექტრონით განათება თვალებს გჭრის, საღაც აუარებელი რკინის გზებია გაყვანილი, საღაც სხვა და სხვა მოწინააღმდეგე კლასებათ დაყოფილ მცხოვრებლებს უთვალავ ხელობებსა და პროფესიებში შეუფარებიათ თავი?

ამ პირველ პრობლემას კიდევ უფრო ართულებს მეორე, რომელზეც უორესმა მიაქცია ჩვენი ყურადღება, როცა სთქვა, რომ ყველა ენები, რა რიგადაც უნდა განსხვავდებოდენ ერთმანეთისგან, ერთ და იმავე გრამატიკულ ფორმებს შეიცავენო. რაკი ჩვენ ენების საკითხს შევეხეთ, მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ მოვლენაზე, რომელიც მჭიდროთ შეკავშირებულია ჩვენს საკითხთან: ყოველი სიტყვა, რომელიც ეხლა რაიმე აბსტრაქტულ (განყენებულ) ცნებას გამოხატავს, გამოგონილია ველურების მიერ რაიმე კონკრეტულ (თვალსაჩინო) მოვლენის აღსანიშნავათ. მაგალითად, ბერძნული სიტყვა Nomos, რომელიც გამოხატავს განყენებულ ცნებას — კანონს, — წინად ნიშნავდა საძოვარს ან საცხოვრებელ ადგილს; ფრანგული სიტყვა Droit (უფლება) ნიშნავს იმას, რაც სიმართლეს ეთანხმება, წინათ კი აღნიშნავდა ძალიან სწორე საგანს. შეიძლება ამ ლინგვისტურ მოვლენიდან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ კონკრეტულს ადამიანის თავში აბსტრაქტული (განყენებული) წარმოუშვია?

მსგავსება, რომელიც უორესმა ენებში დაგვანახვა, ადამიანის გონიერების ყოველგვარ მოქმედებაში არსებობს — როგორც რელიგიაში (სარწმუნოებაში), ისე ფილოსოფიაში და ლიტერატურაში. მაგალითად, ის ზღაპრები, რომლებიც თვითონ ჩვენგანს აკვანშიც კი მოუსმენია, და რომელთა წარმო-

შობა ველურ ან ბარბაროსულ დროს ეკუთვნის, ყველა ხალხებს აქვს მთელ დედამიწაზე; ნატურალიზმი მწერლობაში — ეს ბოლონდელი, მაგრამ სრულიადაც არა უკანასკნელი ლიტერატურული ფორმა — ყველა კაპიტალისტურ ხალხების ლიტერატურაში ყვავის.

ხალხების შედარებითი ისტორია გვასწავლის, რომ ყველა ერებს ერთი და ოგივე ოჯახური და სახელმწიფოებრივი ფორმები გაუვლიათ. ვიკო, რომელსაც სამართლიანათ ფილოსოფიის ისტორიი, მამაომთავარს ეძახდენ, ამბობს, რომ „არსებობდა იდეალური სამუდამო ისტორია, რომელსაც ჭმნიდენ ყველა ერების ისტორიები, რანაირიც უნდა ყოფილიყო ის სიველურე, სიმხეცე და სიმკაცრე, რომლიდანაც ხალხები გამოდიოდენ, რომ თავი „მოეშინაურებიათ“. მაგრამ, რაღვანაც „მოშინაურების“ ხარისხი, რომელსაც სხვა და სხვა ხალხებში მიაღწიეს, ერთნაირი არ არის, მარქსიუმატებს: „მრეწველურათ უფრო განვითარებული ქვეყანა ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებს მათ მომავალ სურათს უჩვენებსო“. ჩვენი გენიოსი ლამარკის მოწაფე, ჟოფრედ სენტ-ილერი, გვარწმუნებდა, რომ მცენარეების და ცხოველების განვითარება „ერთნაირ გეგმაზე“ სწარმოებსო.

მაგრამ სად უნდა ვეძიოთ აზამიანის, ცხოველების და მცენარეების ერთნაირ გეგმაზე განვი-

თარების მიზეზი? თითონ ქვეყნიერებაში თუ მის გარეშე?

დეისტები, ვოლტერთან ერთათ, დაუფიქრებლათ გვიპასუხებენ, რომ როგორც საათის არსებობა აუცილებლათ მესაათის არსებობასაც გულისხმობს, აგრეთვე მსოფლიოს არსებობა თავისთვათ ნათელ ყოფს მისი შემოქმედის არსებობასაო. მაგრამ კითხვის ასე აღვილათ გადაჭრა, რაც ველურებსაც კი შეეძლო, ოდნავაც ვერ სწყვეტს ჩვენს პრობლემას. საქმე იმაშია, რომ თუ მსოფლიოს რაღაც ზებუნებრივი მიზეზი აქვს, ამ უკანასკნელს კიდევ სხვა ასეთი მიზეზი უნდა ქონდეს და სხვა. ამიტომ დეისტების ასეთი შეხედულება არც კი ეკაზრება მეცნიერულ ჭიუას. გადაშალეთ რომელი სამეცნიერო წიგნიც გნებავთ: თქვენ ერთ სიტყვასაც ვერ იპოვნით რაღაც ზებუნებრივ არსებებზე. ქიმიკოსი, ფიზიოლოგი, გეოლოგი, ვარსკვლავთ მრიცხველი და სხვ., იმის მაგიერ, რომ ასეთ აღვილ საშვალებას მიმართონ — ზებუნებრივ მიზეზებში ეძებონ მოვლენებს ახსნა — მარტო ნივთიერების თვისებებით ხსნიან სხვა და სხვა მოვლენებს. დღეს ყველა მეცნიერი იმას ცდილობს, რომ თავის მეცნიერებიდან ყოველივე არა ბუნებრივი განდევნის, და ამას ის შვრება მაშინაც კი, როცა ის მას მართლა სჭირდება ისეთ მოვლენების ასახსნელათ, რომლებიც მის გამოკვლევის სპეციალურ საგანს არ შეადგენს. ისტორიკოსი კი, იმის გამო,

რომ მისი საგანი ჯერ მეცნიერებას კიდევ არ წარ-
მოაღვენს, ძალიან ხშირათ ეძებს ზებუნებრივში იმ
მოვლენების ახსნას, რომელთა მიზეზებიც ვერ
გაუვია. მარქსმა კი ზებუნებრივი მის უკანასკნელ
თავშესაფარიდან, ისტორიიდანაც, განდევნა. ის-
ტორიულ მეცნიერების შექმნას ჩვენ მხოლოდ იმ
შემთხვევაში შევძლებთ, თუ ამ სოციალისტურ
მოაზრის მატერიალისტურ მეთოდით ვისარგებ-
ლებთ.

გეგელის აზრით, იდეა, რომელიც ყველაფერზე
ადრე ჩნდება, თავს იჩენს ატომებში, თავის მოწი-
ნააღმდეგეთ ხდება, უკავშირდება თავის წინააღ-
მდეგს და შობს პირველ სინტეზს, რომელიც, თა-
ვის მხრივ, იჭრევა ტეზისათ და ანტიტეზისათ, შე-
მდეგ კი — ისევ სინტეზათ. ეს მეორე სინტეზი წა-
რმოაღვენს იმ წერტილს, საიდანაც ახალი სერია
გამომდინარეობს (ე. ი. ისევ სინტეზი — ტეზისი —
ანტიტეზისი) და სხვ. იდეა, რომელიც ავტომატი-
ურათ ვითარდება, უარყოფს თავის თავს და ქმნის
ქვეყანას მსგავსათ თავის არსებისა.

უორესი ასე შორს უკან არ მიდის; ის სარგე-
ბლობს პლატონის მეთოდით, რომელმაც გამოიკ-
ვლია იდეები, დააწყო ისინი იერარქიულათ და ამ
გზით აბსოლიუტურ სიკეთის იდეამდე მივიღა. უო-
რესმა გაარჩია და დაანაწილა ძმობისა და სამარ-
თლიანობის იდეები, რომლებიც ჩვენ, განათლებულ
ადამიანებს, თავში გვაქვს და მივიღა სამართლია-

ნობის და ძმობის აბსოლიუტურ იუგასთან კი არა, არამედ მის მინიმაურ გამოხატულებასთან, რომელიც ველურების თავში შეუგნებლათ არსებობს. ეს იდეა, როცა თავის თავს სკრნობს, წინააღმდეგობას უწევს გარეშე ქვეყნიერებას და ებრძვის მას, სანამ ამ წინააღმდეგობას არ დაანგრევს. ამ ვვარათ, ისტორია წარმოადგენს ასეთ ბრძოლათა განუწყვეტელ რიგს, რომლებიც ყოველთვის სამართლიანობის იდეის გამარჯვებით თავდებიან.

პირველი, რაშიც ჩვენ უორესს ვერ ვეთანხმებეთ, ის არის, რომ მისი თეორია ვერ ხსნის მთელ ქვეყნიერებას, რადგანაც მცენარეთა და ცხოველთა სამეფოების რვოლიუცია სამართლიანობის იდეიდან არ გამომდინარეობს; დღეს კი ფილოსოფიამ მთელი მსოფლიო უნდა მოათავსოს თავის ფარგლებში.

შემდეგ უორესს უნდა ვკითხოთ: რისთვის ჩერდება ის ველური ადამიანის თავზე? რისთვის ის ამაზე ქვევით არ მიღის და იდეებს ცხოველების თავშიაც არ ეძებს? მწყემსის ან ყარაულის ძალის მშვენიერათ აქვს განვითარებული მოვალეობის გრძნობა და თავის დანაშაულობას ყოველივის გრძნობს. თქვენ იტყვით, რომ ეს იდეები ცხოველების თავში ბუნებით თანდაყოლი ირაა, რომ ის ადამიანმა ჩაუნერგა მათო. ძალიან კარგი, მაგრამ მოვალეობის იდეა ხომ გარეულ ცხოველებსაც აქვს, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც ჯგუფებათ ცხოვრობენ, მაგალითად, კამეჩებს და ყვავებს. მამა-

ლი კამები თავგანწროულათ იცავს ხიფათის დროს დედლებს, ყვავები კი, როცა „პოსტებზე“ საყირა-ულოთ დგანან, გარშემო იხედებიან და, გამოჩნდება თუ რა მუხანათი ვინმე, მაშინვე ჩხავილს ას-ტეხენ, რომ თავის ყლაპია ამხანაგებს ხიფათის მო-ახლოება აკრიბონ.

ამგვარათ, ცხოველების თავში ჩვენ ვხედ ვთ იმავე იდეებს შეგნებულს, რასაც ჟორესი ველუ-რე'ის თავში შეუგნებლათ ათავსებს. მაგრამ რის-თვის გვჩერდეთ ცხოველებზე? რისთვის არ შეიძლება, რომ იდეა ატომურათ (თუ შეიძლება ასე ითქვას) იყოს იმ სიახეში (პროტოპლაზმაში), რო-მლიდანაც უჯრედები ჩნდებიან, ის უჯრედები, რომლებიც ორგანიულ სამეფოს საფუძვლს შეა-დგენენ?

კიდევ ერთ კითხვას მივცემ ჟორესს: რატომ კმაყოფილდება ის მარტო ზნეობრივ იდეებით და მეცნიერულ იდეების წარმოშობას არ იკვლევს? რატომ ის არაფერს ამბობს იმ ატომისტურ თეო-რიის შესახებ, რომელსაც რაზენიმე ათს ჭიმიკო-სის თავში დაუბჯდნია: შეიძლება ის შეუგნებლათ იმ ლოკოკინაშიც იყვეს, რომელსაც სრულიათაც არ აბია არავითარი თავი? რატომ ის არ ამბობს, მატერიალისტებთან ერთათ, რომ ყველაფერი უნდა არსებობდეს ყველაფერში, რადგანაც აზრი, ბოლოს და ბოლოს, არა სხვა რამე, არამედ ფსიქო-ჭიმიური მოვლენა, მოძრაობის გარდაჭმაა? მაგრამ ასეთი

მსჯელობა იმას მაინც არ გვიხსნის, თუ როგორ
გაჩნდა იდეა ადამიანის თავში?

უორესი გვარწმუნებს, რომ მხედველობის და-
სმენის გრძნობა სხვა გრძნობებზე მაღლა დგანან,
რადგანაც ის ადამიანი, ვისაც ეს გრძნობები საღი აქვს,
უფრო სტკებება ბუნების ჰარმონიით და მზის ბრწყი-
ნვალებითო; ის თვალს და ყურს აყენებს ხელზე
მაღლა, რომელიც, სხვა თითების პირთაპირ მდე-
ბარე დიდ თითით, ადამიანის და მაიმუნის დამახა-
სიათებელ თვისებას შეადგენს. ხელმა შექმნა ადა-
მიანი. აქ ჩვენ შეგვეძლო გვეპასუხნა, რომ მხედ-
ველობის და სმენის გრძნობა წარმოადგენს არა-
სხვა რამეს, არამედ შეხებითი გრძნობების ერთათ
თავის მოყრას და სპეციალიზაციას, რომ ის ადამიანი,
რომელსაც თვალებიაკლია, სინათლეს მთელი თა-
ვისი ტყავით გრძნობს, რომ თვით მცენარის უჯრე-
დებიც კი მზის ზემოქმედობით ერთგვარ მწვანე-
ნივთიერებას იმუშავებენ; მაგრამ ასეთი პასუხი-
ჩვენ ვერ აგვიხსნის გრძნობათა ორგანოების წარ-
მოშობას.

თქვენ ხედავთ, რომ უორესსა და ჩვენ, მარ-
ქსისტებს, შორის ატეხილი კამათი იდეების წარ-
მოშობის და გაჩენის გარშემო ტრიალებს. ეს კი-
თხვა მოსვენებას არ იძლევდა ფილოსოფიურ აზრს
დღემდე, ასე იქნება შემდეგაც.

დეკარტი ფიქრობდა, რომ ჩვენ თანდაყოლი-
ლი გვაქვს იდეები საზოგადოზე, მიზეზებზე, შეივ-

გებზე..... ლოკი, მას შემდეგ კონდილიაკი და სხვა სენსუალისტები, პირიქით, ამტკიცებდენ, რომ ყველაფერი, რაც ეხლა ჭკუაში არის, წინათ გრძნობებში იყო. ჭკუაო—ამბობდა დიღრო—არის tarula rasa (წმინდა ფიცარი), რომელზეც ბუნების მოვლენები თავის კვალს აღბეჭდავენ. იდეების წარმოშობის საკათხი არ ასვენებდა ბერძნებსაც, იმ ბერძნებს, რომლებსაც ჩვენ ყველა მეცნიერების კარებთან ვხედავთ. პლატონი ამბობდა, რომ ჩვენი იდეები აბსოლუტურ სიკეთის იდეის მოგონება არის; იმავე დროს არქელაოსი, სოკრატის მასწავლებელი, გვარწმუნებდა, რომ ადამიანის ზნეობრივ იდეების წყაროს შეაღგენენ იმ ქვეყნის კანონები, რომელშიც ხსენებული ადამიანი ცხოვრობს. და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ თვით უსათუთესი სიჩიდისიც კი ურიგდებოდა მონობას იქ, სადაც ის კანონით იყო დადასტურებული.

ჩვენ, მარქსისტები, ზოგიერთი დამატებით ვლებულობთ არქელაოსის და ლოკის შეხედულებებს და ვამბობთ, რომ თუმცა განათლებულ კაცს არ შეუძლია მოიგონოს ის მომენტი, როცა მის თავში განსაზღვრული იდეები გაჩნდა, მიუხედავათ ამისა, ისინი ზეციდან არ ჩამოფრენილან, არამედ გამოცდილებით შეძენილ იქმნენ ჩვენი წინაპრების მიერ, რომლებმაც ჩვენ გაღმოგვცეს მრავალ საუკუნოების განმავლობაში სხვა და სხვა იდეებთან შეთვისებული ტვინი, და, ამის გამო, დღეს ისე

აღვილათ და „თავისთავათ“ ვითვისებთ სხვა და სხვა
იდეებს, რომ ისინი თანდაყოლილი გვგონია.

II

პდამიანი და ცხოველები მხოლოდ იმიტომ
აზროვნობენ, რომ მათ ტვინი აქვთ: ტვინი აქცვს
ნაგრძნობს იდეათ სწორეთ ისე, როგორც დინამო-
მაჟინა ელექტრონათ აქცვს მიღებულ მოძრაობას.
მხოლოდ ბუნება ან, უკეთ რომ ვთქვათ, (უნდა
ვერიდოთ ისეთ სიტყვის ხმარებას, რომელიც ბუ-
ნებას მეტაფიზიკურათ გამოხატავს, როგორც ამას
XVIII საუკუნის ფილოსოფოსები შვრებოდენ)
ბუნებრივი წრე ქმნის ტვინს და სხვა ორგანოებს.
მე განგებ ვამბობ სხვა ორგანოებს მეთქი იმიტომ,
რომ, როგორც სპირიტუალისტები ყოფდენ ადამია-
ნებს ცხოველებისგან, რომ სასწაულ მოქმედ არსებათ
გამოეცხადებიათ, რომელთა გულისხვის ღმერთმა ად-
ამიანის ხორცი შეისხა და ჯვარს ეცვა, სწორედ ისე
იდელისტებიც აცალკევბენ ტვინს სხვა ორგანოე-
ბისაგან, და ამას შვრებიან იმ განზრაზვით, რომ მისი
ფუნქცია — აზრი — ისეთ მაზეზებით ახსნან, რომლე-
ბსაც ბუნების გარეშე აქვს სათავე. —

ბუნებრივმა წრემ, რომელმაც დამიანის ტვი-
ნი და სხვა ორგანოები შექმნა, განვითარების ისეთ
მაღალ საფეხურ-მდე მიიყვანა ისინი, რომ მათ გა-
საკვირველი შევუება, საოცარი შეთვისება ეხერ-
ხებათ. მავალითად, რამდენიმე საუკუნის განმავლო-
ბაში ქრისტიანებს და განათლებულ ხალხებს აფ-

რიკის ნაპირებიდან ზანგები გაჰყავდათ, რომ კოლონიებში მონებათ გაეყიდათ. ეს წითელ-კანიანები ბარბაროსები და ველურები იყვენ, მათ განათლებულ ხალხებისაგან ათასი წლები აშორებდა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ისინი მაღა შეეჩვიენ სხვა და სხვა ხელობებს.

იეზუიტებმა პარაგვაიში მოახდინეს სოციალური ცდა, რომელსაც ჩვენთვის, მარქსისტებისთვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ის გვიჩვენებს, თუ როგორი სოციარი სისტრატით შეუძლიათ გადაგვარება სხვა სოციალურ ნიადაგზე გადასახლებულ ხალხებს. იზუიტებმა, ამ შეუდარებელმა აღმზრდელებმა და მოხერხებულმა ექსპლოატატორებმა, ველურებიდან შექმნეს განათლებული ხალხი, რომელიც 150 000 კაცს ითვლიდა.

გვარანები, რომლებიც მათ პარაგვაის სხვა ხალხებს შორის ჩასახლეს, ტიტვლები დაეხეტებოდენ ტყეში; მათ არ ჭონდათ სხვა იარაღი, გარდა ისრისა და ხის კომბლისა; ისინი მხოლოდ პირველ ყოფილ მეურნეობა იცნობდენ და მარტო სიმინდი მოყავდათ. გონებრივათ ისე განუვითარებელი იყვენ, რომ თვლა მხოლოდ ოცამდე შეეძლოთ და ისიც თითებზე: ხელის ერთი თითინიშნავდა ერთს, ორი თითი—ორს, მთელი ხელი ხუთს, ერთი ხელი და მეორე ხელის ერთი თითი—ექვსს, ორივე ხელი ათას, ორივე ხელი და ფეხის ერთი თითი—თერთმეტს, ორი ხელი და ერთი ფეხი—თხუთ-

რეტს, ორი ხელი და ორი ფეხი — ოცს; ოცს იქით
იყო განუსაზღვრელი რიცხვი „ბევრი“. ხელის
ზა ფეხის თითებზე ითვლიან მხოლოდ ის ველუ-
რები, რომელებიც განვითარების უდაბლეს საფეხურზე
დგანან. ამნაირათ, რიცხვი, ეს სხვებზე უფრო
განყენებული (აბსტრაქტული) იდეა, რომელიც
განათლებულ ადამიანის თავში არსებობს, პირველათ
ველურის თავში გაჩნდა, როგორც ნივთიერ საგნის
გამოხატულება. როდესაც ჩვენ წარმოვსთქვამთ ან
გავიფიქრებთ: 1, 2, 5, 10, ჩვენ არავითარი საგა-
ნი არ წარმოგვიდგება თვალშინ, ველური კი ხე-
დავს ერთ თითს, ერთს ხელს, ორ ხელს და სხვ. *) ეს
იმდენათ მართლია, რომ რომაული ციფრები, რომ-
ლებსაც განათლებული ხალხები არაბულ ციფრების
შემოღებამდე ხმარობდნენ, ხელის სახეს გამოხატა-
ვენ: I ხატავს ერთ თითს, II — ორ თითს, V —
ხელს, რომელსაც შუა თითები მოღუნული აქვს,
ცერი და ნეკი კი ზევით აშვერილი; X ხატავს
ორ V — ს ან ორს ერთმანეთის წინააღმდეგ დაწ-
ყობილ ხელს.

ამ ველურებიდან იეზუიტებმა შექმნეს დახე-
ლოვნებული მუშაკები, რომელთაც უძნელესი სამუ-
მუშაოს ასრულებაც კი შეუძლიათ. აი რას ამბობს
შარლვუა მათ შესახებ:

*) ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იყოს ისიც, რომ განათ-
ლებული ხალხის ბავშვებიც, ველურებივით, ნივთიერ საგ-
ნებს წარმოიდგენენ, როცა ითვლიან.

„მისი ინდიელებს უმაღლეს, წერტილამდე განვითარებული მიბაძვის ნიჭი აქვთ. საკმარისია მხოლოდ ერთხელ ნახონ, მაგალითად, ჯვარი, სასანთლე, საცეცხლური, რომ დაუყონებლივ გააკეთონ მათი მსგავსება და მასთან ისე ხელოვნურათ, რომ ნამდვილიდან ვერც კი გაარჩევთ. ისინი მუსიკალური იარაღებს და რთულ არღვებს აკეთებენ ამ საგნების ერთხელ ნახვის შემდეგ. ესევე ითქმის ასტრონომიულ სფერის, სპარსულ ნოხების და ყველა იმის შესახებ, რაც მანუფაქტურაში უძნელესია“.

ნატურალისტი ლორბინი, რომელ მაც 1832 წელს, იეზუიტების განდევნის შემდეგ, აოხრებული პარაგვაის ხალხები ინახულა, განცვიფრებული დარჩა იმ ეკლესიებით, რომლებიც ვალურებს აეგოთ და მხატვრობის და ჩუქურთმის ნაწარმოებით საშუალო საუკუნის გემოზე მოერთოთ.

მაგრამ ველურ გვაჩანებს ხელობა და ხელოვნება ბუნებიდან თან არ დაყოლიათ, ისინი აგრეთვე მზამზარეულ იდეებით თავში არ დაბადებულან. ერთიცა და მეორეც, თუ შეიძლება ისე ითქვას, მათ შემდეგ შეუვიდა თავში და ხელებში, სწორეთ ისე, როგორც ვერდის რომელიმე არიას ველურის არღანზე გადაიღებენ ხოლმე. ეს ხელობები და ეს მრავალგვარი აზრები მათ შეითვისეს იეზუიტების მიერ მიცემულ აღზრდის წყალობით. აქ ჩვენ თვალწინ გვიდგია იმის მაგალითი, თუ როგორი

მოქმედება შეიძლება ადამიანმა ადამიანზე იქონიოს. მაგრამ ვანა ეს ერთათ ერთი გზაა ადამიანის ორგანოების და ტვინის გასავითარებლათ? ვანა ბუნებრივ და სოციალურ წრის პირობები, ან კიდევ გამოცდილება არ ავითარებს მისი ორგანოების ტენიკურ ნიჭს და არ სცვლის მის აზრებს?

სამართლიანობის იდეა, რომელიც უორესის სიტყვით, ველურის თავში შაუგნებლათ იღო, ადამიანის ტვინში შეიჭრა მხოლოდ კერძო საკუთრების გაჩენის შემდეგ.

ველურებს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ სამართლიანობაზე, მათ სიტყვაც კი არ მოეძებნებათ ამ ცნების გამოსახატავათ. სამაგიეროთ, მათ მშვენიერათ ესმით სამაგიეროს გადახდის კანონი—გარტყმა გარტყმის მაგიერ, თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ; ეს იგივეა, რაც რეფლექტორული (უნებლივ) მოძრაობა: როცა რაიმე ხილათი მოელის, მაგალითად, თვალს, ის თითონ იხუჭება და სხვა. იმ ბარბაროსებსაც კი, რომელებიც კომუნისტურ თებებში ცხოვრობდენ და, მაშასადამე, ძალიან განვითარებულ სოციალურ წრესთან ქონდათ საქმე, სადაც კერძო საკუთრება ოდნავ იდგა—მდა ფეხს, იმ ბარბაროსებსაც კი ბუნდოვანათ ქონდათ წარმოდგენილი სამართლიანობის იღეა. მე მოგიყვან თქვენ ამ საგნის შესახებ სომნერ მენის აზრს, რომლის ფილოსოფიურ მნიშვნელობას უორესიც არ უარყოფს:

„იურიდიულათ ინდიელ სოფელში არ არსებობს არც უფლებები, არც მოვალეობანი. თუ ვინგემ მეორეს რაიმე ვნება მიაყენა, დაჩაგრული იმას კი არ ჩივის, რომ მის წინაშე დანაშაულობა ჩაიდინეს, არამედ იმას, რომ პატარა საზოგადოების წესრიგი დაარღვიეს. კადვ მეტი. ჩვეულებრივ უფლებას აქ არავითარი სანქცია არა აქვს. თუ ვინგე, ძალიან იშვიათ შემთხვევაში, სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება, მისი ერთათ ერთი სასჯელი ისაა, რომ მას ასეთ საქციელს ერთხმათ არ მოუწონებენ“.

ლოკი, რომელიც, როგორც მე XVII და XVIII საუკუნის ყველა ფილოსოფოსები, გეომეტრიის დედუქტიურ მეთოდით სარგებლიობდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სამართლიანობის იდეა კერძო წაკუთრებამ წარმოშობაო. თავის „ადამიანის ჭიუა“-ში ის ამბობს, რომ სადაც საკუთრება არ არსებობს, იქ არც უსამართლობა არისო. ეს ისეთივე სწორე შეხედულებაა, როგორც ევკლიდის რომელიმე გეომეტრიული დებულება: იმიტომ რომ საკუთრების იდეა არის უფლება რამეზე; ის იდეა კი, რომელსაც შეეფერება სიტყვა „უსამართლობა“, არის ამ უფლებაში შეჭრა და მისი ფეხქვეშეგათელვა“.

თუ რომ სამართლიანობის იდეა, როგორც ლოკი ამბობს, გაჩნდა მას შემდეგ, რაც კერძო საკუთრება წარმოიშვა, და როგორც მისი შედევ-

გი, ქურდობის იდეა, ან სხვის სასურველ ნივთის ხელში ჩაგდების ლტოლვილება ძალიან განვითარებული იყო კერძო საკუთრების დამკვიდრებამდე. კომუნებში მცხოვრები ველურები და ბარბაროსები ისე ექცევიან ნივთიერ სიკეთეს, როგორც ჩვენი მწერლები გონებრივ სიმღიდრეს ეპურობიან: იმათ მიაქვთ ის ყოველგან, სადაც კი ხვდებიან, როგორც მოლიერი ამბობს. მაგრამ ეს ბუნებრივი ჩვეულება—ქურდობა—ღანაშაულობა ხდება მას შემდეგ, რაც საზოგადო საკუთრება კერძო საკუთრებას უთმობს ადგილს.

საზოგადო საკუთრებამ ისეთი იდეები და გრძნობები ჩაუნერგა ველურებს თავსა და გულში, რომლებსაც განცვიურებაში მოყავთ ქრისტიანი ბურულები, კერძო საკუთრების ეს სამწუხარო ნაყოფები.

აი რას ამბობს ამის შესახებ მორაველი მისიანერი, გეკეველდერი, რომელზაც 16 წელიწადი ჩრდილო ამერიკის ველურებში გაატარა, იმ ველურებში, რომლებიც ჯერ ვერ გაერყვნა ბურულუხილ „ქრისტიანობას“ და ცივილიზაციას.

„ინდიელებს სწამთ, რომ ქვეყანა და ყავლა-ფერი ის, რაც ქვეყანაზე არის, დიდმა სულმა ყველა ადამიანების საკეთილდღეოთ შექმნა: რადესაც მან მიწა დაასახლა და ტყეები ნადირით გაავსო, მას სახეში ყავდა ყველა ადამიანები და არა კერძო პირები. ყოველი ნივთი საერთოთ ეკუთვნის ადამიანის ყველა შვილებს. ყველაფერი, რაც მინდვრათ იზრდება, ყველაფერი, რაც მდინარეში

და წყლებში სცხოვრობს, — ყველაფერი ეს ყველას ეკუთვნის, და თვითეულ ადამიანს მხოლოდ თავის წილზე აქვს საკუთარი უფლება“.

„სტუმრის პატივისცემა აქ სათნოებათ კი არ ითვლება, არამეთ სავალდებულო მოვალეობათ. მას-პინძლები უმაღლ თითონ მშიერი დაიძინებენ, და სტუმარს კი მოვლას არ მიაკლებენ. საქმე იმაშია, რომ სტუმარს — ავათმყოფს, ლარიბს და სხვას-უფლება აქვს მოითხოვოს დახმარება საზოგადო ფონდიდან, რადგანაც ის ნადირი, რომელსაც მას აქ დაუკლავენ, სანამ მონადირე დაიჭირდა, საზოგადო კუთვნილებას შეადგენდა; ის სიმინდი და წვანილი კი, რომელსაც მას მიართმევენ, საზოგადო მინდვრებში ხარობდენ და სხვა..“

აი რას ამბობს, თავის მხრივ, იეზუიტი შარლვუა, რომელიც დიდხანს სცხოვრობდა იმ ველურთა შორის, რომლებიც მესაკუთრეების ბურჟუაზიულ მორალით და სათნოებით არ იყვენ გარყვნილი.

„შმობის სული წითელქანიანებში რამდენიმეთ მაინც, უეჩველათ, იმიტომაა დაცული, რომ „ჩემი“ და „შენი“, ეს გრძნობის გამჟინავი სიტყვები, როგორც მათ იოანე ოქროპირი უწოდებს, სულაც არ იციან ველურებმა. ზრუნვა, რომლითაც ისინი ობლებს და საწყლებს უვლიან, სტუმრის პატივის ცემა, რომელსაც ისინი ასე საოცრათ იჩენენ, გამომდინარეობს მათი რწმენიდან, რომ ყველაფერი დედამიწაზე საერთოთ ყველას ეკუთვნის.“

კერძო საკუთრებამ, რომელმაც „ჩემსა“ და

„შენს“ შორის განსხვავებას საძირკველი ჩაუყარა, არა თუ სამართლიანობის იდეა ჩააქსოვა აღამიანის თავში, არამედ გულსაც კი ისეთი გრძნობები ჩაუნერგა და ისე გაუდგა მათ ფესვები, რომ ჩვენ ისინი თანდაყოლილი გვვონია. მათი დასახელებით მე თქვენს წყრომას გამოვიწვევ, მაგრამ დამტკიცებულია, რომ სანამ აღამიანი კომუნისტურ წრეში ცხოვრობდა, მან არ იცოდა იჭვიანობა და მამობრივი სიყვარული; ქალები და კაცები პოლიგამიაში ცხოვრობენ; ქალს აყვს იმდენი ქმარი, რამდენიც სურს, კაცს კი იმდენი ცოლი, რამდენიც შეუძლია; იმავე დროსო, მოგვითხრობენ მოგზაურები, ეს მშვენიერი აღამიანები უფრო მშვიდობიანათ და თანხმობით ცხოვრობდენ, ვინემ მოსაწყენ და ეგო-ისტურ მონოგამიურ ოჯახის წევრებიო. მაგრამ, როგორც კი იკიდებს ფეხს კერძო საკუთრება, მა-მაკაცი „თავისთვის“ ყიდულობს ცოლს, და ამ მოსაშენებელ საქონლით სარგებლობის უფლებას მარტო თავისთვის იტოვებს. აი აქ ჩნდება იჭვია-ნობა: ის არის საკუთრების ცოტი გადაგვარებული გრძნობა. მამა არც ზრუნავს თავის შვილზე, რო-ცა მას არა აქვს კერძო საკუთრება, რომელიც მე-მკვიდრეობათ უნდა დაუტოვოს.

სამართლიანობის იდეები, რომელებიც განათ-ლებულ თავებში „ჩემზე“ და „შენზეა“ აშენებული, გაქრება, ვით საპნის ბუშტი, როცა კერძო საკუ-თრებას კოლექტიური საკუთრება შესცვლის. უო-რესი გვარწმუნებს, რომ ძმობის და სამართლიანო-

ზის იდეები, როცა სოციალურ წრეს ეჯახებიან, ადამიანის განვითარებას იწვევენო. ეს რომ მართალი იყოს, მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა არავითარი ისტორიული ევოლუცია: ადამიანი ვერასოდეს ვერ გამოვიდოდა პირკელ-ყოფილ კომუნისტურ წრიდან, სადაც ის იყო და ორც შეიძლებოდა ყოფილიყო სამართლიანობის იდეები, სადაც ძმობის გრძნობა უფრო თავისუფლათ იფუჩქნებოდა, ვინემ რომელ სოციალურ წრეშიც გინდა.

სამართლიანობის იდეა ძალიან შორს არის იმაზე, რომ სოციალურ წრის პირობებს ეწინა-აღმდევებს, პირიქით, ის ეთვისება და ეგუება მას.

იდეალისტები გვარწმუნებენ, რომ სამართლიანობის და ზნეობის იდეები უფრო და უფრო ვითარდებიან, — თანდათან უმჯობესდებიანო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორეთ ასეთი თეორია უნდა მოსწონდეთ კაპიტალისტებს, რომლებიც თავის სამრეწველო და სავაჭრო პრაქტიკას სათნოებათ სთვლიან. მაგრამ ძნელი დასაშვებია ეს სამართლიანობის და მორალის ევოლუცია, რომელიც ოგიუსტ კონტს, ჰერბერტ სპენსერს და სხოლისტიკურ სიბეცის სხვა ბურჟუაზიულ ფილოსოფოსებს ძვირფასათ მიაჩნდათ.

აუარებელი ფაქტები უარს ყოფენ ამ სასიამოვნო თეორიას. იმ საზოგადოებებში, სადაც საქონლის წარმოება არაა გაშეფებული, სადაც საზოგადოების წევრები ან მათი მონები სავნებს ამზადებენ არა გასაყიდათ, არამედ შინ მოსახმარათ, ვაჭრობას ზი-

ზღით უცქერიან. „რა პატიოსნება უნდა გამოვიდეს დუქნიდანო?“ გაიძახის ციცერონი. მხოლოდ სა-ზიზღარ ხალხს აქვს ფულებთან საქმე. ასეთ საზო-გადოებაში პროცენტის აღება ქურდობაა, რომელსაც გმობს მორალიც და რელიგიაც. თითონ ეგოვამ (ლმერთმა) აუკრძალა ებრაელებს ფულის „გასაზა-რდათ“ გაცემა; მან ნება დართო — მხოლოდ სხვა ქვეყნის ხალხებს, თქვენს მტრებს, გადაახდევინეთ პროცენტებით. კათოლიკურმა ეკლესიამ, რომე-ლიც დღეს კაპიტალისტთა კლასის მოახლე გამხდა-რა, წინათ ანაფემა (წყევლა) შეუთვალა დიდ პრო-ცენტების ამღებთ. მაგრამ იმ ბურჟუაზია გაბატო-ნდა, და მორალიც შეიცვალა; მევახშეობა წმიდა-თა წმიდათ გადაიქცა; 1789 წლის ერთი დადგენი-ლება აკანონებს პროცენტს, როცა ის წინათ მას მხოლოდ ითმენდა; ვალების ჩასაწერი მთავარი წი-გნი ბურჟუაზიის სახარება გარდა. იმ პირების „მო-ღვაწეობა“, რომლებიც ფულს „გასაზარდათ“ იძ-ლევიან (ბანკირები და სხვა), საპატიო და ყველა-საგან პატივსაცემ ხელობათ გადაიქცა. ფულების მიერ მოცემულ შემოსავლით, ე. ი. პროცენტებით ცხოვრება, — აი ბურჟუაზიულ საზოგადოების წევრ-თა ოცნება და პატივის მოყვარეობა. კონტის, სპე-ნსერის და მორალის და სამართლიანობის სხვა მოყვარულთა აზრით, ფულების სარგებლით გაცემა. მორალის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს. გასაკვი-რველი არაა, რომ კაპიტალისტები, რომლებიც ამ პროცენტებით ცხოვრობენ, თავის საკვირველ

ფილოსოფოსების აზრს იმეორებენ. ეს ხომ ჩვეულებრივია. მაგრამ ჩვენ, რომლებიც სულ სხვა იდეალებს ვეტრფით, უნდა აღვიაროთ, რომ ფეოდალურ ბარონებს ან ძველი დროის პატრიციებს უფრო მაღალი წარმოდვენა ქონდათ ზნეობაზე, როცა შევახშეებს ქურდებათ თვლიდენ.

ყოველ ახალ ისტორიულ ეპოქაში სამართლიანობა და მორალი იცვლება, იცვლება იმ მხრით, რომ გაბატონებულ კლასების ინტერესებს და შეხეჯულებებს შეეგუოს, შეეთანხმოს. „რას ამტკიცებს იდეათა ისტორია“ — ამბობენ მარქსი და ენგელსი კომუნისტურ მანიფესტში — „თუ არ იმას, რომ გონიერივი მოქმედება იცვლება მატერიალურ ცვლილებებთან ერთათ? გაბატონებულ იდეებათ ყოველთვის გაბატონებულ კლასთა იდეები ყოფილან“.

სამართლიანობას და მორალს, რომლებიც გაბატონებულ კლასთა ინტერესების თანახმათ იცვლებიან, ეს უკანასკნელნი თავზე ახვევენ დაჩავრულ კლასებსაც, რომლებიც იძულებით ღებულობენ მათ, იმის მიუხედავათ, ეწინააღმდეგებიან ისინი მათ ინტერესებს თუ არა.

ჩაგრული კლასებიც თავიანთ მოთხოვნილებებს არა უმაღლესი სამართლიანობის და მორალის სახელით აღვენენ, არამედ იმ მორალის სახელით, რომელიც დღეს „მოდაშია“. მათი უფლებები გაბატონებულ კლასია ინტერესების ნაკარნახევი უფლებებია. აი მაგალითიც ისტორიიდან:

გაიძახიან, რომ მეომარ საზოგადოებებში შრო-
მას ზიზღით უკეროდენო. ეს არაა სრული სიმა-
რთვე. ილიადის გმირები თითონ მწყესლენ თავის
ჯოგებს და მიწასაც თითონ ამუშავებდენ. ხშარათ
ისინი ტრაბახობდენ კიდეც, როცა სწორ კვალს გაი-
ყვანდენ. რომაელი პატრიციები და ბერძნების ევპა-
ტრიდები ხშირათ ჩამოახსნია ხელშე ფარ-ხმალს,
რომ სახნისისთვის მოეკიდათ ხელი. საშუალო საუ-
კუნის ფეოდალები იმით იწყებდენ თავის რაინდულ
მოწაფობას, რომ რომელიმე კეიილშობილ ოჯა-
ხში პაჟებათ ან მოსამსახურებათ დგებოდენ. რასაც
ამ ეპოქაში ზიზღით უყურებდენ — ეს იყო შრომის
გაყიდვა. ადამიანი, რომელიც თავის შრომას ყიდ-
და და ამაში ქირას იღებდა, მონების რაზმში გა-
დადიოდა. თავის, როგორც მონის, გაყიდვით ის
თავისუფალ ადამიანის ღირსებას კარგავდა. მაგრამ
კაპიტალისტურ საზოგადოებაში ამ დამამცირებელ
საქციელს თათონ თავისუფალი ადამიანი სჩადის
ყოველდღე. როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ
შრომის პროლეტარებს ერთი-ლა დარჩენიათ: ყი-
დონ თავისი თავი, ყიდონ ფიზიკური შრომა, ყი-
დონ თავისი გონებრივი სამუშაო, ყიდონ თივიან-
თი აზრები, ეს ადამიანის წმიდათა წმიდა. კსე-
კსი უფასოთ იძლეოდა თავის სურათებს, რადგა-
ნაც, როგორც თითონ ამბობდა, სპარსეთის შაპის
მთელი სიმდიდრეც კი ცოტაა იმათ ფასათო; ჩვე-
ნი მესსონიები კი თავის სურათებს ხუთ ფრანგათ
აძლევენ ვიღაც ჩიკაგოელ ან მასკაუელ ჭორის

ვაჭრებს, რომლებიც ამ სურათებით თავის cabinets daisance-საც კი ხშირათ რთავენ ხოლმე.

III

ბუნებრივმა წრემ ადამიანი ისეთი შექმნა, რომ მას შეუძლია ცხოვრება როგოც ეკვატორზე, 40-45 გრადუს სითბოს ქვეშ, ისე პოლიუსებზე, სადაც ვერცხლის წყალიც კი იყინება. მართალია, ეს შესანიშნავი თვისება ვირთხასაც აქვს. ბუნებრივ წრის სხვა-და-სხვაობამ დაყო ადამიანთა ტოში სხვა-და-სხვა რასებათ.

მაგრამ ადამიანი, როგორც ჭიანჭველები და სხვა ცხოველები, შეკავშირდა და შექმნა ხელოვნური წრე, ე. ი. წრე, ადამიანის ხელოვნებით წარმოშობილი. ეს ხელოვნური წრე განაგრძობს ბუნების საქმეს, ასხვაფერებს ადამიანს, აუმჯობესებს ზოგიერთ მის მხარეებს, სხვებს სრულიათ სპობს და, ბოლოს, ქმნის საზოგადოებრივ ადამიანს. ის წინააღმდეგობას უწევს ბუნებრივ წრის დამანაწილებელ გავლენას და ადამიანის ტოში ერთ-გვარობას ამკვიდრებს.

იმ ბუნებრივ წრეებში, რომლებიც ეკვატორიდან ერთ და იმავე მანძილზე არიან დაშორებული, ერთნაირი ცხოველები ცხოვრობენ, ერთნაირი მცენარეები ხარობენ. სწორეთ ამგვარათვე, იმ ქვეყნების ხელოვნურ წრეებს, რომლებიც ეკონომიურ წარმოების მხრივ ერთმანეთს ძალიან წააგა-

ვენ, დიდი მსგავსება აქვთ ზნეში, ჩვეულებებში, პოლიტიკურ ორგანიზაციაში, ოჯახურ განწყობილებაში, რელიგიაში და ფილოსოფიაში. მაგალითად, საღაც კი ასებობს წარმოების კაპიტალისტური ფორმა, ცივ კანალაში არის ეს თუ ცხელიტალიაში, ან კიდევ ავსტრიალიის ახალ ქვეყნებში, ჩვენ ყველგან ვხედავთ პარლამენტარიზმს პირველათ შეზღუდულ, შემდეგ კი სრულ საარჩევნო უფლებით, ვხედავთ მრუშობით და პროსტიტუციით შეზავებულ მონოგამიურ ოჯახს და, ბოლოს, დეისტურ და იდეალისტურ ფილოსოფიას. ეს მსგავსება ემჩნევა არა მარტო იმ ხალხებს, რომელთაც საუკუნოების განმავლობაში საზოგადოებრივ განვითარების ერთი და იგივე გზა გაუვლიათ, არა მაგრა სხვა და სხვა რასების ნაციებს, რომლებიც ევროპიულ მოძრაობის გავლენის გარეშე ვითარდებოდენ და სწრაფადაც იცვლებოდენ. მაგალითად, იაპონიებმა, შემოიღეს თუ არა თავის ქვეყანაში მექანიკური მრეწველობა, ფეოდალურ წრილან უცებ კაპიტალისტურ წრეში ამოყვეს თავი. ისინი იძულებული გახდენ შეეცვალათ თავისი პოლიტიკური წყობილება, თავისი კანონები, თვით ტანისამოსიც კი; დღეს ისინი ჩვენს საშინელ ქუდებს ატარებენ. კიდევ ცოტა და--ამაში თქვენ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ — მათ თავიანთი პანამა და რუვენი გაუჩნდებათ.

ამგვარათ, ადამიანი, მის მიერ შექმნილ ხელოვნურ წრის წყალობით, თითონ გახდა თავის

თავის შემოქმედი და თავის საზოგადოებრივ ხვედრის ბატონი, მაგრამ მისი მოქმედი შეუგნებელია და ხშირათ მისი სურვილების წინაღმდევებ მიღის, ასე რომ, როგორც გეგელი ამბობს, აღამიანი ხშირათ ისეთ შედეგებს აღვება, რაც მის განზრახვებს ეწარჩინააღმდეგება, რაც მას გათვალისწინებული არ ქონებია. მაგალითად, კაპიტალისტებმა, რომ თავის კლასის სიმდიდრე გაემრავლებიათ, შემოილეს და განავითარეს სხვილი მექანიკური მრეწველობა; მათ არ უფიქრიათ, რომ ამით ისინი სპობლენ იმ საშვალო კლასს, რომელიც მათსა და პროლეტარიატს შორის არსებოლ გამწვავებულ წინაღმდევობას ამსუბუქებდა. 1848 წელს ნაციონალურ გვარდიის წევრებმა ბევრ პარიუის მოსაზღვრე ქალაქებში მოიყარეს თავი იმ მიზნით, რომ ივნისის დღეების მონაწილენი დაეხოცათ და დაეცოთ პეტეირები და ფულდები, რომლებიც მათ ფინანსიურ მხრივ ანადგურებდენ. 1841 წელს კი, ტიურის მრავალჯერ მოწოდების მიუხედავათ, არც ერთი გვარდიელი არ დაიძრა აღგილიდან, რომ კომუნას დასცემოდა. მათ რიცხვში გამოჩნდა მხოლოდ ერთი, ფელიქს ფორი, რესპუბლიკის მომავალი პრეზიდენტი, რომელმაც მოწოდებას პასუხი გასცა: მან გავრიდან მოიტინა ცეცხლის საქრობი მილები, რომ ვერსალელების მიერ დანთებული „პაუარი“ ჩაექრო. ფინანსისტებმა, სხვილმა მრეწველებმა და სხვილმა ვაჭრებმა წვრილ ბურჟუაზიის შთანთქმით თავისი საუკეთესო დამცველები შთანთ-

ქეს. ხალხის სიბრძნემ შეიგნო ეს ისტორიული კანონი და შემდეგ სიტყვებში გამოხატა: „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“. არა სამართლიანობის შეგნებული ან შეუგნებელი იდეა ამოძრავებს კაცობრიობას, არამედ წარმოების ისტორიული აუ-უცილებლობა. არაფერი არაა მონობის ისტორია-ზე უფრო სარწმუნო, რომელიც ამას ნათლათ გვიმტკიცებს.

თუ იდეალისტებს დავუჯერებთ, მონობას ორგვარი ბედნიერება ხვდა წილათ: ის შემოლებულ იქმნა კაცომოყვარეობით და კაცომოყვარეობამვე გააუქმა იგი. ადამიანმა თავისი მსგავსის ჭამა იმ გროიდან შესწყვიტა, როცა მის გულში სიყვარულის ნაპერწყალი აპრიალდა. იმავე დროს ამ ჭამი-თაც ადამიანი თავის მოყვასს თავის უზომო სიყვარულს უმტკიცებდაო.

ნამდვილათ კი, საკაცომჭამლო ტრაპეზების მოსპობა ეკონომიურ მიზეზებით და ქალების გავლენით მოხდა. წინათ ასეთ ტრაპეზს მთელი ტო-მი შემოუსხდებოდა ხოლმე,—როგორც მოზრდილები და ბავშები, ისე ქალებიც. შესჭამდენ რომელიმე მოხუც ნათესავს, რომ ამით ის გაენთავისუფლებიათ იმ ტანჯვა-წვალებისგან, რომელიც მოხუცებულთა ხვედრია. მაგრამ, როდესაც ნადირებით მდიდარ აღვილებში ცხოვრებამ და შინაურ, საქონლის მოშენებამ გააღვილა მოხუცების კვება, მაშინ მოხუცებს ნება მისცეს საკუთარი სიკვდილით გარდაცვლილიყვენ. იმავე დროს მაინც სჭამდენ

ბრძოლის ველზე დახოცილთა სხეულებს და სამხედრო ტყვეებს. ამ უკანასკნელ მეჯლისებში მარტო მხედრები იღებდენ მონაწილეობას; ქალებს არ ჭონდათ ამისი ნება. ყოველივე ეპვეს გარეშეა, რომ ქალებმა, შურის გამო, შეიზიზდეს ასეთი მეჯლისები და უკმაყოფილება გამოუცხადეს იმ მამაკაცებს, რომლებიც ამ კანიბალურ ტრაპეზებში მონაწილეობას იღებდენ. ქალების აზრის ზეგავლენით, კაცებმა თან-და-თან მიანებეს თავი კაცთ-მჭამლობას და დასტოვეს ის მხოლოდ, როგორც სარწმუნოებრივი ცერემონია.

მონობა შემოღებულ იქმნა მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოებამ მეურნეობაში და მრეწველობაში განვითარების მაღალ საფეხურს მიახწია, და ადამიანს საშუალება მიეცა ემუშავნა მეტი, ვინემ მის მოთხოვნილებათა „დასაკმაყოფილებლათ საჭირო იყო და დაემზადებია ის ზედმეტი საგნები, რომლების მითვისებაც სხვებს შეეძლო..

როდესაც, შინაურ ომების წყალობით, ველურ და ბარბაროსულ ტომების რიცხვი ძალიან შემცირდა, მათ იწყეს ტყვეების შვილებათ აყვანა, რომ მხედართა დაცლილი რაზმები შეევსოთ. ისინი იშვილებდენ იმ მიზნით, რომ მათგან მუშები შეექმნათ. მონის შვილათ აყვანის ჩვეულება განათლებულ ხალხებშიც კი დაცულა: რომაელები და ბერძნებიც ლებულობდენ მონებს თავის აჯახის წევრებათ ერთგვარ ცერემონიის შემდეგ, რომელსაც საკურთხევლის წინ ახდენდენ. ასე წარმოიუ-

გინეთ, მონამ თავისი სახელით ოჯახიც კი მონა-
თლა, ასე რომ სიტყვა familia (ოჯახი) წაროსდგე-
ბა ძველ ასკინურ სიტყვისგან famil, რომელიც მო-
ნას ნიშნავს. და მართლაც, პარტრიარქალური
ოჯახი ქალთა მონობაზეა დამყარებული.

წინათ მონობას რბილი ხასიათი ქონდა: მონა
კონპანიონათ, თითქმის სახლის პატრონის ამხანა-
გათ ითვლებოდა. იმ რას ამბობს ამის შესახებ
აზარა, რომელმაც XVIII საუკუნეში ბრაზილიის
და პარაგვაის ველურ ტომთა შორის ათეული
წლები გაატარა და გაიცნო მონობა, როცა ის
ისიყო იწყებოდა:

„მ, ბეები (ყველაზე უფრო მეომარი ტომია
პარაგვაიში) იმსახურებენ გვარანებს და მიწას ამუ-
შავებინებენ. ამ მონობას რბილი ხასიათი აქვს, და
გვარანებიც ხალისით ემოზჩილებიან მას. ბა-
ტონი ცოტა ბრძანებას იძლევა, მის კილოს არა
აქვს ბრძანების ან ვალდებულების ხასიათი; ის ყვე-
ლაფერს თავის მონას უყოფს, თვით სხეულის კმა-
ყოფილებასაც კი. მე ვნახე ერთი მ, ბე, ა, რომე-
ლიც თითონ სიცივისაგან კანკალებდა, მაგრამ მა-
ინც არ ისარგებლა თავის გვარანის საბნიო;
ისიც კი არ აფიქრებინა, რომ ის მას ეჭივრებო-
და.

მონობას იმ საფეხურზე, რომელსაც ოდი-
სეია აგვიწერს, უკვე დაუკარგავს თავისი პირველ-
ყოფილი ადამიანური რბილი ხასიათი, თუმცა აქაც
შეხვდებთ მეგობრულ გაწყობილებას ბატონსა და

მონებს შორის. მაგრამ თანდათან, რაც კივილიზაცია წინ მაღის, და ფილოსოფია აღამიანის ჭყუას შუქს ფენს, რაც სამართლიანობა თავისუფალ მოქალაქეთა უფლებებს აწესრიგებს, და მორალი კი აღიმიანის ნაკლულევანებებს ასწორებს,— მონობა უფრო და უფრო სასტიკ ხასიათს ღებულობს; ათინეს და რომ ის ბრწყინვალე ხანებშა ის პირდაპირ აუტანელი შეიქნა.

მიუხედავათ ამისა, თვით იდეალისტურ ფილოსოფოსებსაც კი სწამდათ ეს სასტიკი და აუტანელი მონობა. პლატონმა თავის უტოპიურ რესპუბლიკაშიც კი შემოიღო იგი; არისტოტელს ეგონა, რომ ზოგიერთ ადამიანებს თვით ბუნებამ უბრძანა— თქვენ მონებათ დარჩითო. ებრაელების წერილების სიტყვით, თითონ ღეროთმა დაავალა ქამის შთამომავლობას,— მონები ადლიერ კაცობრიობასო. მაგრამ ბერძენმა მოაზრე გაითვალისწინა ის, რის გათვალისწინება თვით „ლმერმაც“ ვერ შესქლო. მან სთქვა, რომ მოვა დრო როცა, მან ქანები ამუშავდებიან და თავის წმინდა სამუშაოს თავისთავათ შეასრულებენო. აი, გაშინ მონობასაც ბოლო მოეღებაო.

მონობა, რომლის არა თუ გაუქმებას, უბრალო შეხებასაც კი არ ფიქრობდენ ფილოსოფოსები და ქრისტიანები, გაქრა მაშინ, როცა საწარმოო საშუალებები იმდენათ განვითარდენ, რომ მონობა ექსპლოატაციის უსარგებლო და საეჭვო თვისების საშუალებათ გახდა. შეადარეთ დაქირავებული შრომა მონობას. მონათ-მფლობელმა ჯერ მო-

ნა უნდა იყოდოს და თავის თავზე მიიღოს ყველა-ის ხარჯები, რომლებიც უბედურ შემთხვევებისაგან და ხშირად, მონის სიკლილისგანაც, მოსალოდნე-ლია; შემდეგ, მან უნდა კვებოს მონა, კვებოს თვით ავათმყოფობის, უმუშევრობის და სიბერის დროსაც, რადგანაც ხომ ვერ დაახრჩობს მას, რო-გორც ძალლს. *)

*) აი, რა აზრისაა ამის შესახებ იეზუიტი გიური, რომელიც ამ ოცდა ხუთი წლის წინათ გარდაიცვალა. თავის კლასიკურ წიგნში „Teologie morale“, რომელიც სემინარი-ელების მთავარ წიგნათ ითვლება, და რომელმაც პარიზის არქი-ეპისკოპოზის, ყოვლათ უსამღვდელოესის გიბერის სიტყვით, „უკანასკნელ ოცდა ათი წლის განმავლობაში ბეჭნიერათ შესცვალა საფრანგეთის სასულიერო წოდების სული“, მას მოყავს შემდეგი კითხვა-პასუხი.

კითხვა: „შეუძლია ადამიანს სხვა ადამიანზე საკუ-
თრების უფლება ქონდეს?“

პასუხი: ჯერ ერთი რომ, ბუნებრივ უფლების ძალით, ადამიანს შეუძლია თავის თავი სხვას მიყიდოს, როგორც სასარგებლო საკუთრება. საქმე იმაშია, რომ თუ ადამიანს უფლება აქვს თავის თავი სხვას დროებით გადასცეს, მას ეს სამუდამოთაც შეუძლია, რადგანაც ადამიანს უფლება აქვს სხვას დაუთმოს ის, რასაც თითონ ფლობს. მეორე: მო-
ნობა ანუ სამუდამო ქვეშევრდომობა, როცა ადამიანი საზ-
რდოში სხვას თავის შრომას აძლევს, სრულიადაც არ
ეწინააღმდეგება ბუნებრივ უფლებას.

იეზუიტ გიურეს, როგორც დახელოვნებულ ლოდიკოსს, მონობა დაქირავებულ შრომიდან და ბუნებრივ უფლებიდან გამოყავს: მის დებულებას ვერ უარყოფს ის, ვინც კაპიტა-
ლისტთა კლასს იცავს, და ვისაც ბუნებრივ უფლების არ-
სებობა სწამს.

ეს საზრუნავი პრ აწესებს კაპიტალის პატ-
რონს. მას ყოველთვის შეუძლია, რამდენიც უნდა,
იმდენი მუშა იშოვოს; იმავე დროს მუშის შესანა-
ხი ხარჯი დღეს დაახლოებით ძველებურ მონის
გამოსაკვებ ხარჯს უდრის. კაპიტალისტს თავისუ-
ფალი დაქირავებული მუშა სჭირია, და მხოლოდ
ცეკონომიურ მიზეზებით შეიძლება იმ მოვლენის
ინახენა; რომელუაპიტალისტი, რომლებიც თავის-
უფალ ქალებს დაკაცაცებს ტყავს აძრობენ, იმავე
მდროს მონობის სასტიკ მოწინააღმდეგებათ გამო-
დიან.

უმატეან ტიკურ სამართლიანობის და მორალის მიერ
მოწონებული მონობა პრატო მონათმფლო-
ბელებს სწამდათ, არამედ თითონ მონებსაც ძვალსა
და რბილში ქონდათ გამჯდარი. ძველ დროის მო-
ნას ვერ წარმოედგინა მონობის მოსპობა. მონურმა
მდგომარეობამ მათში უკმაყოფილების ყოველივე
ურძნობა დაახშო, ჩაკლა, ხელი, როგორც
ის ხელს უშლიდა, რომ მონათმფლობელის თავში ზე-
ობის იდეა შეპარულიყო; როდესაც ჩრდილოეთ ამერ-
იკაში მონობის საწინააღმდეგო მმა იფეთქა, გას-
აჭირი შეიქნა იმდენი მონების თავის მოყრა, რომ
მათგან ერთი თავისუფლებისვთის მებრძოლი პოლ-
კი შეედგინათ.

საშუალო საუკუნეებში ფეოდალები თავის ბა
ტონობას მხოლოდ ომების საშუალებით ავტოკიტ
ბდენ მთელს ქვეყანაზე. იმაგლეხებში, რომლებიც
იყვნენ თ თემების მოთარე-მონებ პირები 3

სოფლებში კოლექტიურ საფუძველზე ცხოვრობდენ, მათ ომებით უნდა ჩაეკლათ თანასწორობისა და დამოუკიდებლობის გრძნობები.

გლეხებს არ დასჭირებიათ 1789 წლის ბურუუაზის ლოდინი, რომ თანასწორობის გრძნობებით გამსჭვალულიყვენ. მაგრამ რას უნდა გამხდარიყვენ ნადირთა ქურქებში და ცხვრის ტყავებში გახვეული გლეხები ფეოდალურ ბარონების წინააღმდეგ, რომლებიც რკინის აბჯარში იყვენ ჩამჯდარი. ყოველგან, როგორც საფრანგეთში, ისე ინგლისში და გერმანიაში, ისინი დამარცხებულ იქნენ და მეტ გაჭირვებაში, უფრო აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდენ კლერიკალების და ბურუუების წყალობით.

მაგრამ ალქიმიკოსების ლაბორატორიაში დამზადებულმა თოფის წამალმა, რომ მრეწველობას ხელში ჩავარდნოდა, ბრძოლის ველზე თანასწორობა გამოაცხადა და ფეოდალიზმის სასიკვდილო „პრიგოვორს“ ხელი მოაწერა. მაგრამ, თუ ამ წამალმა ევროპა ფეოდალ სენიორებისაგან გაანთავისუფლა, სამაგიეროთ თან ახალი წელკავი მოიტანა.

ბურუუაზიას, როგორც ცეცხლის, ისე ეშინია მილიტარიზმის; მას სგაძს ყველა, ვინც ხმალს ატარებს; და რადგანაც ის გამსჭვალულია კეთილშობილურ პატივის მოყვარეობით — ყვლიფოს ყველა, ეროვნების განურჩევლათ, ამიტომ მან ყველა ხალხების ძმობა-ერთობა გამოაცხადა და გვაუწყა,

რომ მის ბატონობის დროს მშვიდობიანობა და ვაჭრობა იმედებსო.

მშვიდობიანობის ლიგის დამაარსებლებს, ამ სამართლიანობის და ძმობის მოციქულებს, გული გაუტყდათ, როცა დაინახეს, რომ მუდმივი ჯარი თან და თან ედებოდა ევროპი, მისი ძალა ძლიერდებოდა, და ომები უფრო და უფრო გამანადგურებელი ხდებოდენ. ეხლა მათ პატრიოტობის ნილაბი აიტარეს, და თუ წინანდელ ძმობის ქადაგების შემთხვევაში აშკარა ხოცვა-ულეტის არ გაჰკიციან, ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ შიშია. ჩვენს დროში ბურუუა ხომ საზარბაზნე ხორცათ გამხდარა.

გულდამშვიდებით მისცემ ხმას რომელიმე შორეულ კოლონიალურ ექსპედიციას დაგომელების ან მაღავასკარლების წინააღმდეგ, რადგანაც იქ მხოლოდ გლეხები და მუშები იგზავნებიან ტყავის დასახევათ. სულ სხვაა ევროპიული ომი. აქ თითონ ბატონი ბურუუაც უნდა გამოპრძანდეს ბრძოლის ველზე და ხშირათ მსხვერპლათ საკუთარი პერსონა შესწიროს. ეს კი მისთვის სახეირო აღარ არის მას შემდეგ, რაც გაუმჯობესებული თოვები და ასაფექტი მასალები შემოიღეს, რომ ბრძოლის ველი რამდენიმე კილომეტრის მანძილზე საყასბოთ გადაექციათ, სადაც ათასობით ხალხი უსახელოთ იღუპება.

ხოცვა-ულეტის შიმშილი უნდა მოყვეს. მართლაც დღეს ევროპიულმა ომშა ყველა ჯანმრთე-

ლი მოქალაქენი საომარ ბაირალის ქვეშ უნდა დაა-
ყენოს. სახელოსნოები უნდა დაცარიელდენ და
დაიკეტონ, პური მინდვრად დალპეს, აუარებელი
ადგალები დაუხნავი და დაუმუშავებელი დარჩეს,
მოსავალი მოისპოს და ორივე მხარე, როგორც
გამარჯვებული, ისე დამარცხებული, განადგურ-
დეს და შიმშილის მსხვერპლი შეიძნეს.

მხოლოდ შეშლილები ან ივაზაკები ისურვებ-
ენ დღეს ევროპიულ ომს. ამაობრებელ იარაღების
განვითარებამ და გაუმჯობესებამ და მთელი ხალ-
ხის მიღიტარიზაციამ შეუძლებელი გახადეს ასეთი
ომი; მაშასადამე, დადგადრო, როცა ბურუუაზიას
შეუძლია გულის წადილი აისრულოს: დაითხოვოს
მუდმივი ჯარი.

მაგრამ ეკონომიურ პირობებს, რომლებიც უფ-
რო ძლიერია, ვინემ ბურუუაზიას სურვილები, არ
სურთ ამ უკანასკნელთა იდეალის ასრულება.

IV

Jთას წლების განმავლობაში ადამიანის თავში
ერთი იდეალი ცხოვრობს, — ეს იდეალია არა სა-
მართლიანობის, არამედ მშვიდობიანობის და ბედ-
ნიერების, იდეალია ისეთი საზოგადოების, საღაც
არ იქნება ჩემი ან ჟენი, საღაც ყველაფერი ყვე-
ლის საკუთრება იქნება, საღაც თანასწორობა და
ძმობა ადამიანების ერთად ერთ შემაერთებელ

კავშირათ გადაიქცევა. ბურუსით მოცულ ის-
ტორიულ ეპოქებში ისეთი გაბედული მეცნი-
ერები, როგორიც არიან პლატონი, მორი
და კამპანელია, მომხიბლველ სურათებში გვიხატა-
ვდენ ამ საზოგადოებას, მათი გმირები თავს სწი-
რავდენ ამ იდეალის განრხორციელებას.

ეს იდეალი არ არის აღამიანის ტვინის თვით-
ნებური ნაყოფი; ის იმ ოქროს საუკუნის, იმ ქვეყ-
ნიურ სამოთხის მოგონებაა, რომლის შესახებაც რე-
ლიგია მოგვითხრობს; ეს არის პირველ-ყოფილ კო-
მუნიკის იმ შორეულ ეპოქის მოგონება, რომელიც
აღამიანს უნდა განევლო, სანამ კერძო საკუთრე-
ბას მიადგებოდა, და რომლის არსებობას ამტკი-
ცებს გეკველდერის და შარლვუას ზემოთ მოყვანი-
ლი ციტატები.

თუ რომ საბერძნეთის ქალაქებში პლბეების
და ღატაკების უთვალავი აჯანყებები, რომელთაც
ქონების გასაზოგადოებრიობა ქონდათ სახეში, სა-
სურველათ ვერ დაბოლავდენ, თუ რომ ქრისტია-
ნულ სექტებმა თავის ძმობ-ათანასწორობის ქა-
დაგებით ვერაფერს ვერ მიახწირეს, ამის მიზეზი
ის იყო, რომ ბერძენ-ლათინთა ქვეყნების დაცე-
მის დროს, როგორც საშუალო ხანის უკანასკელ
საუკუნეებში, ეკონომიკური პირობები ეწინააღ-
მდეგებოდენ საზოგადო ქონების დაბრუნებას; ამის
მაგიერ ისინი სპობდენ პირველ-ყოფილ კომინიჭ-
მის უკანასკნელ ნაშთებს და ბურუუაზილ კერ-
ძო საკუთრების ელემენტს ჩეკდენ.

ახალი ცხოვრების იდეალი ახალ ალიგით
აინთო ჩვენს ჭკუაში, მაგრამ ეს ძველის მოგონება
კი არ არის, ის თვითონ სინამდვილისგან გამომ-
დინარებს და ეკონომიურ ცხოვრების სარკეს
წარმოადგენს. ჩვენ, ინგლისელ „ლოლარდებივით“
ან ბერძნების პლებეებივით, უტოპისტები, მეოც-
ნებეები არა ვართ; ჩვენ მეცნიერულ ნიადაგზე
ვდგევართ და საზოგადოებებს კი არ ვიგონებთ,
არამედ კაპიტალისტურ წყობილებიდან გამოგვყავს.

თუ ჩვენ ახალი ცხოვრების მომხრე ვართ, ეს
იმიტომ, რომ ჩვენ ლრმათ გვწამს,— კაპიტალის-
ტურ წარმოების ეკონომიური ძალები შეუჩერებ-
ლათ მიაქანებს საზოგადოებას ამ ახალ ცხოვრე-
ბისაკენ.

თუ რომ ჩვენ, რომლებსაც კლასების გაჩე-
ნას გვაბრალებენ, პირიქით, მათ მოსპობას მოკი-
თხოვთ— ეს იმიტომ, რომ ეხლა ქრება წარმოების
ის პირობები, რომლებიც აუცილებლათ ხდიდენ
ხალხის დაყოფვას გაყვლეფილ და გამყვლეფელ
კლასებათ.

არისტოტელმა, ამ აზრის დევ-გმირმა, იწინა-
სწარმეტყველა, რომ, როცა მანქანები თითონ შე-
ასრულებენ თავის სამუშაოს, მაშინ თავისუფალ
მოქალაქეებს მონები აღარ დასჭირდებათ, და თუ
დღეს ჩვენ დაქირავებულ შრომის, მონაბის ამ
უკანასკნელ ფორმის, დასასრულს ხევდავთ, ეს იმი-

ტომ, რომ ადამიანს თავის განკარგულებაში რკინის მონა, თვითმოძრავი მანქანა, ყავს.

არსად, არასოდეს, არც ერთ ეპოქაში არც ერთ თავისუფალ მოქალაქეს ამდენი მონა არ ყოლია.

აი რამდენიმე ციფრი „სტატისტიკურ კალენდრიდან“, რომელიც 1890 წელს იქნა გამოქვეყნებული.

1887 წელს საფრანგეთში 135748 ორთქლის მანქანა იყო; ისინი მუშაობდენ მრეწველობაში, მეურნეობაში, რკინის გზებზე, წყლებში და ექვს მილიონ ცხენის ორთქლის ძალას უდრიდენ.

უმაღლეს სამთო აღმინისტრაციის აზრით, ერთი ცხენის ორთქლის ძალა 21 კაცის ძალას უდრის; ამგვარათ, 9 მილიონ ცხენის ძალა 189 მილიონ მონას ეთანასწორება.

1886 წლის აღწერით, საფრანგეთში 39 მილიონი მცხოვრებია. ამგვარათ, თვითეულ მცხოვრებზე 4,8 მონა მოდის ანუ ყოველ ისეთ ოჯახს, რომელსაც ხუთი წევრი ყავს, 24 რკინის მონა ხვდება.

ის გარემოება, რომ ამ 189 მილიონ რკინის მონის შრომა ისეთ კლასის მონოპოლიას შეადგენს, რომელსაც მათი არც გაძლოლა და არც შემოწმება შეუძლია, სილატაკეში აგდებს მწარმოებელს ასეთ კმაყოფილების დროს.

მაგრამ, როდესაც საწარმოო საშუალებები

ნაციის საკუთრებათ გახდებიან, ამ ქვეყნათ კვლავ
აყვავდება. მშვიდობადა ბედნიერება, რადგანაც
მაშინ საზოგადოება ეკონომიკურ ძალებსაც ისე
დაიმორჩილებს, როგორც მან ბუნების ძალები
დაიმორჩილა. მაშინ და მხოლოდ მაშინ გახდება
აღამიანი თავისუფალი, რადგანაც მხოლოდ მაშინ
შეიქნება ის თავის ბედის პატონ-პატრონი.

იუნიონ 847881 ინდიგმილდის 1881.
ინდოუცეშენ შეტბოინწენ იმ იუი იმინი
ფ ინდიულ დებცებ ქიმიკ ჩამოცმელები
შეტანთლ ქოხ შოუნიონ შიმცეც ალიოზინ ქენ
ჰორმი ჟირატიმიშინთა ლონდ ქრონიც
ქოხ ქირა 12 იუი შოუნიონ ქიმიტ იურ
284 ქრონიც შოიოზი. 8 ჰისტოგნა ; ქირა
ა ცოლშემათ ქიმინ შოიოზი

იუნიონ 847881 1881.

52

